**გაზეთი ღირს**

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა. ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 — სა პოლიტიკო და სა ლიტერატურო გაზეთი — 1877—1892



ქართული თეატრი

უკანასკნელი წარმოდგენა

**კვირას, 26 აპრილს,**

ქართულის თეატრის არტისტი

**ვ. ა. აბაშიძე**

გაჰმართავს

საოპერო და დრამატიულს წარმოდგენას.

მონაწილეობით: ქ-ნთ მანდენოვისა, გურგენიძისა, იახნოვისა; ბ-ნთ ივერიელისა, ხუციშვილისა, ბირშერტ-დოდაშვილისა, ნებიერიძისა, ადამიძისა და სხვათა.

წარმოდგენილი იქნება:

I

**პედს ვერ წაუხვალ**

კომედია 4 მოქმედებად, გადმოკეთებული ვ. აბაშიძისაგან.

II

პირველად ქართულს ენაზედ

**სტრადელა**

სცენა და დუეტი მეორე აქტიდგან. მუსიკა ფლოტოვისა.

დასასრულ

**დიდი დივერტისმენტი**

ანტრაქტებში დაუკრავს მუსიკა.

ბილეთების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი 8 საათზედ.



გამოვიდა ისყიდება „წერა-კითხვის საზოგადოებისა“ და „ქართველთა ამხანაგობის“ წიგნის მაღაზიებში:

**ათაბაგნი**

**ბექა და აღბუღა**

და

**მათი სამართალი,**

ნ. ურბნელისა.

ფასი ათი შაური (50 კაპ.)

(6—1)


ტფილისი, 25 აპრილი

დასავლეთ ევროპის მუშა ხალხს ჩვეულებადა აქვს, ყოველს წელიწადს იდღესასწაულოს პირველი მაისი. ამ დღესასწაულზედ განაცხადებენ ხოლმე მუშანი უფრო გარკვევით და საქვეყნოდ თავიანთს სურვილსა და საწადელს. ჯერ მაგალითი არა ყოფილა, რომ მუშა ხალხს პირველს მაისს რაიმე უწესოება არ მოეხდინა და მთავრობას არ შეჰბრძოლებოდა. მხოლოდ წელს გაიარა პირველმა მაისმა ისე მშვიდად და წყნარად, რომ გაზეთებს ყურადღება არც-კი მიუქცევიათ ამ მუშათა ჩვეულებრივ დღესასწაულისათვის.

მუშები მიყუჩდნენ, მაგრამ ანარხისტებმა მთელი საფრანგეთი აათოფრიაქეს. ბევრი სახლი და სასტუმრო ააფეთქეს როგორც პარიჟში, ისე საფრანგეთის სხვა ქალაქებში. ანარხისტები განსაკუთრებით სდევნიან მართლ-მსაჯულების მოხელეთა და მრეწველობის წარმომადგენელთ. მოსამართლეებს სადგომი ბინაც ვეღარ უშოვიათ ქირით. სახლის პატრონები სახლებს აღარ აქირავებენ, ეშინიანთ, ვაი-თუ ანარხისტებმა სახლები აგვიფეთქონ და ჩვენც მოსამართლეებთან ერთად ჰაერში გავისეირნოთო. ბევრი ანარხისტი შეიპყრო მთავრობამ და დიდს სასჯელს უქადის. ანარხისტების მოძრაობას ზედ დაერთო საფრანგეთში სამღვდელოების აურზაური. იმათი ურჩობა მთავრობას აიძულებს, სასტიკი ღონისძიება იხმაროს მოუსვენარ მოძღვართა წინააღმდეგ, და ბევრსაც უკვე საჩივარი აუტეხა სასამართლოში.

ასეთი გარემოება გარეშე მაყურებელს დიდად გააკვირვებს. სად ანარხისტები და სად სამღვდელოებაო? ვინ მოიფიქრებდა იმათს ერთად მოღვაწეობას! ანარხისტებს სძულთ ეხლანდელი სოციალური წეს-წყობილება და უნდათ ძირს დაამხონ ათვალწუნებული საზოგადო წესი. თავისის აზრის მისაღწევად არას ჰზოგავენ, არც მახვილს და არც დინამიტს. სამღვდელოება-კი სულ სხვაა. ეს წოდება ყოველთვის ერთგული დარაჯი იყო დაწესებულის მთავრობისა, გულ-წრფელი შემწყნარებელი დაწესებულის ვითარებისა. ხოლო დღეს საფრანგეთის სამღვდელოება აღარ ურიგდება რესპუბლიკის მთავრობას და, დახმარების მაგიერ, დამხობას უპირებს.

რასაკვირველია, ანარხისტების და საფრანგეთის სამღვდელოების მისწრაფებას საერთო არა აქვს-რა, მაგრამ ამ ჟამად შემთხვევამ ერთად შეჰყარა და შეერთებულის ძალით ისეთი ძლიერი იერიში მიიტანეს მთავრობის წინააღმდეგ, რომ კაი ვაჟკაცობა უნდა, თუ რესპუბლიკა გამარჯვებული გამოვიდა ამ ბრძოლიდგან. ჩვენ გვწამს რესპუბლიკის ძალ-ღონე და იმედიცაა, რომ გაიმარჯვებს, მაგრამ სამწუხარო ისაა, რომ საფრანგეთს დიდხანს მოუნდება ბრძოლა და ამ ბრძოლას შეალევს ტყუილ-უბრალოდ იმ ძალას, რომელსაც სხვადა-სხვა სასარგებლო საქმისათვის მოიხმარებდა.

საფრანგეთის მეზობელს იტალიას არც ანარხისტები აწუხებენ, არც სამღვდელოება ეომება, ჯერ-ჯერობით არც მუშები ჰღელავენ და ირრიდენტებიც მიყუჩებულები არიან, მაგრამ უფულობამა და ჯიბის სითხელემ ისე შეაწუხა, რომ აღარ იცის, თავი როგორ დააღწიოს გაჭირვებას. წარმოიდგინეთ, ფინანსთა მინისტრი ვეღარ უშოვნია. ხან ერთს დააყენებენ, ხან მეორეს, და საქმეს-კი შველით არა ეშველა-რა. ახლა ხომ აღარც-კი არავინა კისრულობს ფინანსთა მინისტრობას. ან-კი როგორ უნდა იკისროს და თუნდ იკისროს, რა მოუხერხოს საქმეს, როცა შემოსავალი ნაკლებია გასავალზედ, როცა მომეტებული ნაწილი შემოსავლისა სამხედრო საჭიროებას უნდება. ასე გასინჯეთ, ხარჯის შესამცირებლად, ზოგიერთის უნივერსიტეტის გაუქმებაც-კი განიზრახეს, მაგრამ ამითი რა გამოვა. უმთავრესს ხარჯს ვერას აკლებენ და ვერც მოაკლებენ, რადგან იტალია პირობით არის შეკრული გერმანიასთანა და ავსტრიასთან, რომ ამდენი და ამდენი ჯარი იყოლიოს. მრავალის ჯარის შენახვა ჰხუთავს სულს იტალიას და უნივერსიტეტების გაუქმებითა და მოხელეთა ჯამაგირის შემცირებით, რასაკვირველია, ფონს ვერ გავა.

გაზეთები ლაპარაკობენ, იტალიის მეფე ჰუმბერტო ბერლინში აპირებს წასვლასაო, სურს მოელაპარაკოს იმპერატორს ვილჰელმს, აღარ შემიძლიან პირობის აღსრულება და ამდენის ჯარის ყოლაო. იმასაც ამბობენ, რომ ჰუმბერტოს უნდა წინადადება მისცეს ვილჰელმს, შევამციროთ ჯარების რიცხვი და სხვაფრივ დავრჩეთ ისევ მეგობრადაო. თუ სამთა სახელმწიფოთა კავშირი თოფიარაღს აჰყრის თავის ჯარის ერთს ნაწილს მაინც, უეჭველია, სხვებიც მიჰბაძავენ იმას და მილიტარიზმი შესუსტდება დასავლეთ ევროპაში საყოველთაო საკეთილოდ.

დიდს ბედნიერებას მოუტანს ევროპას მეფე ჰუმბერტო, თუ განზრახული განახორციელა. ის იმდენი ფული, რომელიც ეხლა უნაყოფოდ და უსარგებლოდ იხარჯება ჯარების შესანახად, ვინ იცის, რამდენს სასიკეთო საქმეს მოხმარდება და ერთი-ორად და სამად იმატებს ევროპიელთა ბედნიერება. მაშინ, სასწავლებლებს-კი აღარ გააუქმებენ, ერთი ათად მეტს დაჰმართავენ და, ისედაც სწავლა-ga-

## ფელეტონი

—

**წკიპურტი** 9.

უთარჯიმანო ეკკლესია.—სამი სამწუხარო ამბავი.—„ვაჲ თქვენდა, ჰსჯულის მოძღვარნო!..“—„წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის“ ანგარიში.—კახელები და განჯელები.—სამი უცნაური ამბავი.—ვინ იცის, იქნება ღმერთმა ჰპრძანოს.—„მშაკ“-„არძაგანკიადას“ დასასრული.—„წინანი უკანა და უკანანი წინა“.

ჩვენის გაზეთის წარსულ კვირის ნომრებში ორმა ამბავმა, საქართველოს სხვა-და-სხვა მხრიდგან მიღებულმა და მეტად სამწუხარო გარემოების აღმნიშვნელმა, ერთი კიდევ სხვა ამბავი გაგვახსენა. წრეულს ლიტანიობა ღამეს ერთი მოხუცებული კაცი, დიდი ღვთის მოსავი და მოყვარე, წავიდა ეკკლესიაში წირვის მოსასმენად, ხან ერთს ეკკლესიას მიაწყდა, ხან მეორეს, მაგრამ, გულის საწადელი რომ ვერსად შეისრულა, დაბრუნდა დაღონებული სახლში და, როცა შინაურებმა მიზეზი ჰკითხეს ასე საჩქაროდ დაბრუნებისა, უპასუხა თურმე:

— თარჯიმანი თან არა მყავდა და, გაუგებარ სიტყვების მოსმენას, მოუსმენლობა ვარჩიეო.

სწორედ ასეთივე საქმე დაჰმართებიათ საქართველოს სხვა ადგილებშიაც. აი, მავალითებრ, რას იწერება სუხუმელი კორესპონდენტი:

„წარმოიდგინეთ აქაურის ქართველების მდგომარეობა: ბევრს მათგანს ისე არ ესმის რუსული ენა, როგორც თქვენს უმორჩილეს მონას ჩინური, და მთელი წელიწადი-კი ერთხელ ვერსად ვერ მოისმენთ ქართულს წირვა-ლოცვას, თუმცა ქართველი მღვდლები არიან, რომელთაც შეუძლიანთ ქართულს ენაზედ წირვა-ლოცვა“ („ივერია“, № 85).

მართლაც, წარმოიდგინეთ, ვილოცო და ჩემის ლოცვისა მევე ვერა გავიგო-რა. განა ამაზედ უმწვავესი, ამაზედ უ... კიდურესი იქნება-და რამ? როგორ მოგწონთ ეს „ქართველი მღვდლები არიან, რომელთაც შეუძლიანთ ქართულს ენაზედ წირვა-ლოცვაო?“ როგორ თუ შეუძლიანთ? ენა იციან, მარტო იმიტომ შეუძლიანთ, თუ უფლება აქვთ და არა ჰსურთ ქართულად სწირონ, თუმცა შეუძლიანთ-კი?! ნურას უკაცრავად ჩვენის კორესპონდენტის წინაშე და ეს წინადადება როგორღაც ვერ შევიგნია. ჯერ ერთი, ცოდნის მხრივ განა ისეთი დროც დადგა, რომ ქართველს მღვდელს არ შეეძლოს ქართულის წირვა-ლოცვის დაყენება? მეორე,—თუ შეუძლიანთ, რაღა არ აწირვინებთ ქართულად? ნუ თუ არ იციან, რომ

სხვა-სიტყვაობა სასმენელს
ავნებს და არ აამებსა,
ცუდი საზრდელი სულს და ხორცს,
არც ერთს არ დააამებსა?

ნუ თუ ეჭვი-კი აქვთ, რომ სასულიერო და სახორციელო სიტყვასაც მით უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, რაც უფრო ადვილად გასაგებია, მარტივად თქმულია? განა მოიპოვებიან ქვეყნად ისეთნი, რომ არ იცოდნენ, თუ გულის გზა ხშირად და უმეტესად ყურია და თუ ყურმა არ გაიგო, ვერც გული ისმენს და იგრძნობს და ამაოდ დაშვრების და დავალდების მთქმელ-მეტყველი, მისი ხმა „დარჩება ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა“ და, გურამიშვილისა არ იყოს,

ცუდსა მეთევზეს შერჩება
უბრალოდ წყალთა მღვრევანი?!.

**

უფრო გულის-მომწყვლელად იუწყება ასეთსავე ამბავს მეორე კორესპონდენტი ხევიდგან. აი მისი მოკლედ ნაუწყები, მაგრამ ბევრის მთქმელი და მეტყველი ამბავი:

„კავკავიდგან სოფ. სტეფანწმიდაში ერთი ქართველი ოჯახობა, გვარად ბურდულები, სააღდგომოდ სწორედ იმ აზრით წამოსულიყვნენ, რომ ეგებ ქართულის წირვა-ლოცვის ღირსნი გავხდეთო... მაგრამ აქაც, სამწუხაროდ, ქართული წირვა ქართულს ენაზედ ვერ მოისმინეს სრულად. აღდგომის წირვას 200-მდე ქართველობა დაესწრო და ორიოდე სამსახურის რუსი“ („ივერია“, № 84).

გაიოცებთ, როგორ თუ ქართული ქართულად ვერ მოისმინესო? სავალალოც ეგ არის, რომ სულიერმა მამებმა შემდეგ ისე არიეს ერთმანეთში „შეგვიწყალე“ და „Помилуй“, რომ მგალობლებს დავთარი სულ ერთიანად დაებნათ და ლოცვას ვეღარ აჰყვნენ გალობით. მართლაც-და, წარმოიდგინეთ საბრალო ბურდულების მდგომარეობა. ადამიანი მთელის ოჯახით კავკავიდგან სოფელში ადის, სტეფანწმიდაში, იქნება იქ მაინც მოვისმინო ჩემს მშობლიურს ენაზედ წირვა-ლოცვაო, და აქაც... ორასი თავისავით მძებნელი, სარწმუნოებრივ გრძნობით დატკბობას მოწყურებული ჰნახა, მაგრამ პოვნით-კი, რაცა ჰსურდა, ის ვერ მოუხელავს, ვერ უპოვნია. კავკავში კიდევ, ჰა, დიდის ცოდვა-ბრალით, შეიძლება, მაგრამ სოფლად, სადაც ორასი ქართველია, სხვა ენის არ მცოდნე, და ორიოდე-კი სხვა ენის წარმომადგენელი, წალმა ასე უკუღმად და პირ მობრუნებით რად უნდა იყოს?!.

ეჰ, მახლას (დაილოცოს ამ სიტყვის მთქმელი!), ბურდულებს ეხლა იმის მეტი რაღა ეთქმით, რომ „მელთა ხვრელი უჩნს და მფრინველთა ცისათა საყოფელი, ხოლო ძესა კაცისასა არა აქვს, სადა თავი მიიდრიკოსო“, და ჩვენც, ჩვენ, ამ ცხოვრების უკუღმართობის მაგალითებით ჰმუნვა-მოცულთ, რაღა უნდა ვაკა-

ნათლებით აღჭურვილი ევროპის ერი, ერთი-ათად მეტს ცოდნას შეიძენს და ამასთან ერთად თავისს ნივთიერს ქონებასაც იმდენადვე განიძლიერებს.

ა. ფრონელი

## ახალი ამბავი

*** გუშინ-წინ, 24 აპრილს, საღამოს 8 საათზედ, კავკასიის მთავარ-მმართებელის თანაშემწეს გრაფ ტატიშჩევის სადგომში კრება ჰქონდა „უსინათლოთა სამზრუნველოს“. კრებაზედ მოწვეული იყო რამდენიმე წევრი ამ სამზრუნველოსი. თავმჯდომარეობდა ვიცე-პრეზიდენტი სამზრუნველოსი, ტაინი სოვეტნიკი ბ-ნი ს. ვ. მარკოვი. უწინარეს ყოვლისა კრებამ გახსნა ოც-და-ხუთი დაბეჭდილი ყულაბი, რომელიც სხვა-და-სხვა დაწესებულებასა და მაღაზიაში დარიგებული იყო შესაწევარის შესაკრებად. სულ ოც-და-ხუთსავე ყულაბში აღმოჩნდა 152 მან. 88 კაპ. ყველაზედ მეტი საქციზო სამმართველოში მოკრებილიყო. ამას გარდა, შაქიევმა, რომელსაც მაღაზია გაუტეხეს და ამ სამზრუნველოს ყულაბიც გაიტანეს, ამის სამაგიეროდ ერთი თუმანი შესწირა. შემდეგ თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ყულაბების მომტანთ. სთქვა, რომ ჩვენ უსინათლოთა საკეთილოთა ვზრუნავთო. გვინდა ისე მოვახერხოთ, რომ ქუჩებში აღარ დადიოდნენ საპათხოვროდაო. ერთი ქალი ამორჩეული გვყავს კიდეც, რომელიც პეტერბურგში უნდა გავგზავნოთ, რათა შეიტყოს, როგორ უვლიან და ჰზრდიან უსინათლოებს და წიგნსა და ხელობას როგორ ასწავლიანო. ამას გარდა, მოწადინებულნი ვართ უსინათლოთა სამკურნალო დავაარსოთო. სამზრუნველოს შეძლებაცა აქვს, 1 აპრილისათვის 19,000 მან. გვქონდა და ადგილი შევიძინეთ კიდეც შვიდას თუმნად სამკურნალოსათვისაო. დასასრულ ყულაბები ისევე დაბეჭდეს და იმათვე დაურიგეს, ვისაც ჰქონდა დარიგებული. კრებას, სხვათა შორის, კავკასიის მთავარ-მმართებლის თანაშემწეს გრაფის ტატიშჩევის მეუღლეც დაესწრო. კრებამ თითქმის ორს საათს გასტანა.

*** კნ. ნინო ზაალის ასულმა ანდრონიკაშვილისამ „წერა-კითხვის საზოგადოების“ ლატარიის სასარგებლოდ შემოსწირა ერთი პატარა კაბა.

*** გუშინ ქ. გორში გაემგზავრა ფილოქსერის ექსპერტი თავ. ნ. ზ. ანდრონიკაშვილი საფილოქსერო დასითურთ. 27 აპრილს ეს დასი სოფ. ხიდისთავში შეუდგება მუშაობას.

*** ამ წლის განმავლობაში ტფილისის აბრეშუმის სადგურს 18 მისხალი გრენა გაუცოცხლებია. ამავე სადგურში ლექციები დაიწყო აბრეშუმის მოყვანის შესახებ. ლექციებზედ სულ 5 თუ 6 სოფლის მასწავლებელი ჩამოვიდა ტფილისში.

*** გამოვიდა ცალკე წიგნად ნ. ურბნელის „ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი“, რომელიც ჩვენს გაზეთში იყო ფელეტონებად დაბეჭდილი. წიგნი შეიცავს 411 კაბადონს, სუფთად და კოხტად არის დაბეჭდილი და ჰღირს ძლიერ იაფად, ფასი 50 კაპ.

*** ჩვენ მივიღეთ მეორე ახალი ქართული წიგნი „სამშობლო ქვეყნის მოღვაწეები. დავით ერისთავი“, ზ. ჭ.—ისა. ეს წიგნიც საკმაოდ კარგად არის დაბეჭდილი, პირველს გვერდსა და ზედა პირზედ სურათია დავით ერისთავისა. წიგნი 40 კაბადონიანია და ღირს ერთი აბაზი.

*** გუშინ, 25 აპრილს, შუადღისას, ძველს ნაბანაკარზედ, კუკიის მინდორზედ ბალახის დარაჯმა ჯარის-კაცმა თოფით დასჭრა ტფილისის მცხოვრებელი არტემ მინასოვი. მინასოვი და ერთიც იმისი ამხანაგი სოკოების საკრეფლად წასულიყვნენ და ამ ჯარის-კაცის გვერდზედ გაევლოთ. მინასოვს ტყვია ფეხში აქვს მოხვედრილი. დაჭრილი ამ ჟამად მიხეილის სამკურნალოში იმყოფება და თუმცა ტყვია ექიმებს აქამდე ჯერ ვერ ამოუღიათ, მაგრამ საშიში მაინც არა სჭირს-რა, რადგანაც ტყვია რბილში ჩამჯდარი და ძვალი დაშავებული არა აქვს.

*** 13 აპრილს ბათუმში მოხდა შავისა და კასპიის ზღვების ნავთის მწარმოებელთა საზოგადოების კრება. კრებამ ახალი დირექტორი აირჩია დესპოტ-ზენოვიჩის მოადგილედ, რომელმაც 1891 წელს დაანება თავი თანამდებობას. ამორჩეულ იქმნა თავ. კ. ი. მელიქიშვილი. საზოგადოების ანგარიშიდგან აღმოჩნდა, რომ წარსულის წლის საქმის წარმოებამ 6% დივიდენტი შესძინა საზოგადოების წევრებს.

*** ქ. ნოვოროსსისკში გზათა სამინისტროს ინჟენერს ბ-ნს ჩესნოვსკის უკვე დაუწყია ელევატორის გამართვა. ელევატორის კეთება 1893 წ. იქნება გათავებული.

*** ქუთაისი: 20 აპრილს ქუთაისში კრება მოხდა კავკასიის სამეურნეო საზოგადოების აქაურ განყოფილებისა. კრებაზედ წაკითხულ იქმნა მოხსენება დასაარსებელ სამეურნეო სკოლის კომიტეტისა. მომავალს სკოლას მოსამზადებელი კლასები არ ექნება და მოწაფეებს პირდაპირ პირველს კლასში მიიღებენ. განსაკუთრებით საზოგადოების კრებამ შემდეგს გარემოებას მიაქცია ყურადღება. ამ ბოლოს დროს ვენახების პატრონებმა შეიგნეს ვაზის წამლობის საჭიროება და ბევრმა შეიძინა წამლების საპკურებელი მაშინები. მაშინვე გაჩნდნენ მაშინებისა და წამლების ვაჭრები, რომლებიც სპილენძის შაბიამანის (мѣдный купоросъ) მაგიერად რკინის შაბიამანსა (желѣзный купоросъ) ჰყიდიან, და ეს შაბიამანი-კი ძლიერ მავნებელია ვაზისთვის. სამეურნეო საზოგადოებამ გამოსცა და დაურიგა ხალხს დარიგება, რომელშიაც აღწერილია, თუ როგორ უნდა იცნოს კაცმა ნამდვილი შაბიამანი და ამასთან ერთი კომისიონერი დანიშნა (ბ-ნი კოკოჩევი), რომელსაც სამეურნეო საზოგადოება კარგს შაბიამანს უგზავნის გასასყიდად. ამას გარდა, კრებამ გადასწყვიტა, სთხოვოს გუბერნატორს, რათა მან ყურადღება მიაქციოს ვაჭრების მავნებელს მოქმედებას და სასტიკად აღკრძალოს რკინის შაბიამანის გასყიდვა, რომელიც ძლიერ მავნებელია ვაზისათვის („Нов. Обоз.“).

*** ქობულეთი: 24 აპრილს 81 ვერსზედ მატარებელ № 43 საქონლის მატარებელს დაეტაკა. დაშავებულია მატარებელი და 16 ვაგონი. უბედურება არა მომხდარა-რა.

*** გრაკალი: 24 აპრილს სადგურ გრაკალთან მატარებელი № 39 და ხუთი ფქვილით დატვირთული ვაგონი ლიანდაგიდგან გადავარდა და ორი ვაგონი დაიმსხვრა.

*** თიონეთი: ამ ბოლოს დიდი წვიმები იყო აქ. იორი გადიდდა. თიონეთის ახლო-მახლო კარგა ხანია ყვავილი მძვინვარებს. 21 აპრილს თიონეთის სამრევლოში სამი კაცი გარდაიცვალა ყვავილით. როგორც შევიტყეთ, მთავრობას ყურადღება მიუქცევია ამ გარემოებისათვის და მკურნალი მაჰავარიანი გამოუგზავნია, რომელსაც ამ დღეებში მოველით. ძველ თესლის მოსავალს ცუდი პირი უჩანს.

*** ქუთაისი: 22 აპრილს, ოთხშაბათს, ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიის მმართველობამ გამართა სამუსიკო და საცეკვაო საღამო. სამუსიკო განყოფილებამა და კონცერტმა ძლიერ ასიამოვნა საზოგადოება, რომელიც საკმაოდ დაესწრო კონცერტს. კონცერტს მოჰყვა ცეკვა-თამაში. წმინდა შემოსავალი იყო 400 მან. ეს ფული გიმნაზიის ღარიბ მოსწავლეთ მოხმარდება. ამ მოკლე ხანში ტფილისიდგან მოველით ქართულს დრამატიულს დასს.

## ნაკვესი

უსწავლელს, შინა კაცს ჰკითხეს:

— ნანიკა, ე შენი ძმა რო ასეთი ნასწავლი გამოვიდა, შე რაღა დაგემართაო?

— საიდგან რას ვისწავლიდი: მამიყვანეს თუ არა სკოლაში, დამიწერეს ანბანი და მომცეს ჩხირი, წაიკითხეო. მეც დავიწყე: ან, ბან, გან, დონში ჩხირი ჩავურჭე და გამოვიქეცი შინაო.

## გაკვრით

(გზა და გზა და სხვათა შორის)

(დასასრული *)

მკითხველთაგან რომ გაწბილებული არ დავრჩე და თავი არ მოვაბეზრო, ისევ „ერმილე სოფრომის ძის ნაწერს“ უნდა დავუბრუნდე. ამ წიგნში თოთხმეტი ლექსია მოთავსებული ორიგინალური და ნათარგმნი. ორიგინალურს ლექსებში სულ შავსა და ჟუჟუნა თვალებზეა ლაპარაკი.

რა ვქნა?... რა ვქნა?.. რა მიშველის?
როცა მომაგონდები:
ეშხით ვკვდები, აღარ მძინავს,
მომწონს შენი თვალები...

ასე სტირის და მოსთქვამს „ერმილე სოფრომის ძე“ ერთს თავის ლექსში, რომელსაც მ... უძღვნის. საკვირველია, რატომ არიან ასე სასტიკნი და შეუბრალებელნი ე ჩვენი ახალგაზდების ტყვე-მქმნელნი ჩიტირგვრიტები, რომ ტყვე-ქმნილთ მათის თვალების მოწონების ნებას არ აძლევენ! როგორც გინდათ სთქვით და ეს მეტის-მეტი სისასტიკეა: იმ დალოცვილებს მათი ამაოდ მოტრფიალენი თუ არ ებრალებათ, ჩვენ მაინც შეგვებრალონ. ხომ იციან, რომ სიყვარულში ხელ-მოცრილნი ვაჟები ლექსების წერას და ბეჭდვას შეუდგებიან და თავს მოაბეზრებენ ქვეყანას!

ნათარგმნი ლექსები თითქმის სულ იგავ-არაკებია, მაგრამ გატეხილი უნ-

*) იხ. „ივერია“, № 86.

დროთ ჩვენს „მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და მე განგისვენო თქვენ“-ის მოციქულებს სამღვთო წერილისავე ამ სიტყვებს გარდა: „ვაჲ თქვენდა, ჰსჯულის მოძღვარნო, რამეთუ დაჰმალენით კლიტენი მეცნიერებისანი; თქვენ შეარახვალთ და შემავალთა აყენებთ“... დავიწყებულია მარად-განსვენებულ ვახტანგ მე-VI ბრძნული ლექსი:

უხამსის მეგობრობისგან
ვჩივი, ვიძახი მწარესა..
შენივე ტომი შეიტკბე,
ნუ გავლი სხვათა არესა...

საკვირველ არიან საქმენი შენნი, უფალო!..

**

ბევრი რამ არის, ძმაო ჰორაციო, რაც ჯერ სიზმრადაც არ მოსჩვენებიათ მეცნიერებს! ნუ თუ ის-კი საკვირველი არ არის, რომ, როგორც „წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის“ ანგარიში გვაუწყებს, განჯაში თითქმის იმდენივე წიგნი გაყიდულა, რაც საქართველოს გულღვიძლს კახეთში! განჯაში ამხანაგობას გაუყიდნია სულ 94 მან. და 70 კაპ. ქართული წიგნები, ათ თუმანს სულ ხუთი მანეთი და ექვსი შაური დაჰკლებია, კახეთში-კი მხოლოდ ათის თუმნისა და შვიდის მანეთისა. ერთის სიტყვით, კახეთს განჯისათვის ქართულის წიგნების სიყვარულისა და კითხვის ხალისის მხრივ მხოლოდ თორმეტის მანეთითა და ექვს შაურით გადაუჭარბებია!.. გიხაროდეთ, კახელებო, ამ თორმეტის მანეთისა და ექვს შაურის ჭარბ ცივილიზაციით, რამეთუ

სმა-ჭამა დიდად შესარგი,
კითხვა რა სავარგულია:
რასაცა შესჭამ, შენია,
რასც არა —დაკარგულია!..

საუცხოო, ყვავილით ამწვანებული ველ-მინდორი, შეუღებავის ღვინით სავსე კირაკოზას მუცელსავით წამობერილი ტიკჭორა და მოსევადებული აზარფეშა-ყანწი! აი, კახეთის ცხოვრება!.. რა ხელსა ჰყრის, თქვენს ლხენას, წიგნების ყიდვას და ან სადა სცალიან იმის კითხვისათვის, როდესაც თუ ფხიზელია—სვამს და თუ ნასვამია—ხვრინავს. კახეთს წელიწადში ძნელად თუ ხუთი დღე დაუდგეს წიგნის საკითხავი, დანარჩენს დროს ან სვამს და ან ხვრინავს!.. მაგრამ... ლუარსაბ თათქარიძეც ხომ კახელი იყო და, ხომ მოგეხსენებათ,

მგზავსი ყველაი მგზავსსა ჰშობს,
ესე ბრძენთაგან თქმულია!..

**

წიგნების შესახებ ჩამოვარდა baa-სი და ბარემ აქავე ორიოდე სიტყვა ვსთქვათ ჩვენის „წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის“ შესახებაც, რომელსაც ამ წარსულს კვირასა ჰქონდა თავისი წლიური კრება. ამ ამხანაგობის ანგარიშმა სამი საოცარი და უცნაური რამ ამბავი გვაუწყა. ერთი ხომ განჯის გაკახეთებაა და კახეთის—გაგანჯება, თუ გაგონჯება.

მეორე ის არის, რომ ამხანაგობას 137 ნამდვილი წევრი ჰყოლია, რომელთაც ხუთ-ხუთი თუმანი ხვედრი შესატანი გადაუხდიათ. ნუ თუ ეს ამბავი საკვირველი ამბავი არ არის, როდესაც „წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას“ რვა ღ სამი მეოთხედი წევრი ჰყავს ღ „დრამატიულს საზოგადოებას“ ერთ-ნახევარი, ისიც იმისთანანი, რომელთაც ხუთი-ექვსი მანეთიც ვერ შეუტანიათ საწევრო ფული?!.

მესამე: ამხანაგობას, ქართულის წიგნებით მოვაჭრეს და ქართულ წიგნების გამომცემელს, 36,065 მან. 86 კაპ., თითქმის ოთხი ათას თუმნამდე აღებ-მიცემობა ჰქონია! ქართულის წიგნებით და ოთხი ათასი თუმანი! დიდება შენდა, უფალო, რამეთუ შენ ხარ მეოხ ყოვლისა სახისა და მგზავსებისა შენისამებრ დაბადებულისა!.. ამ ათიოდე წლის წინად, როდესაც ქართულ წიგნების ბიბლიოთეკის გამართვა მანეთ და თხმუთმეტ შაურად შეიძლებოდა, ფიქრად, სიზმრად, ოცნებად და ლანდად-კი გაურბენდა ვისმე, რომ ოდესმე ქართულის წიგნების ვაჭრობა ოთხი ათასს თუმანს მოინდომებდა?!.

ვაშა, ვაშა, „ამხანაგებს“,
ჩვენს გულს იგი ნუგეშსა სცემს,
და, ვით ეხლა, მომავალშიც
წიგნებს კვლავ ბლომად გამოსცემს!..

მხოლოდ კახელებს-კი ცოტა მუჯლუგუნები რომ დაუხშიროს, ნუნუასაგან გამორეტიანებულთა გამოსაფხიზლებლად, კარგს იზამს... როგორც „ანგარიშიდგანა“ სჩანს, „ამხანაგობას“ ორი აგენტი განჯაში ჰყოლია და კახეთში-კი—ერთი, თელავში. კარგს იზამდა, რომ სიღნაღშიაც იყოლიებდეს აგენტს, ვინ იცის, იქნება ღმერთმა ჰპრძანოს და კახელებიც გონებაზედ მოვიდნენ!..

**

წარსულ კვირასვე დასრულ-დაბოლოვდა სომხების პატრიარქის სადელეგატო არჩევანი. როგორც მოგეხსენებათ, სომეხთა წარმომადგენლად ტფილისში ამორჩეულ იქმნა აბგარ იოანესიანი და არწრუნი-კი უარჰყვეს. ამ ამბავმა მთელი საქართველოს მოედანზედ გამოსული სომხეთი აჰშალა, ააღელვა და ორად გაანაწილა!.. „არძაგანქმა“ „მშაკ“ აჯობა, „არძაგანკელები“ „კეცეს“-ს ძახილით ბუქნას უვლიდნენ და გაწბილებული „მშაკელები“-კი მკერდზედ სიბრაზით სულ მჯიღს იცემდნენ. ბოლოს არჩევანი გაბათილდა და ხელ-ახლად დაინიშნა. ამ 22 აპრილს თავი 103 კაცმა მოიყარა. ჰყარეს კენჭი და, წარმოიდგინეთ, ბ-ნი გ. არწრუნი თოთხმეტის ხმის უმეტესობით გაადელეგატეს და აბ. იოანესიანს-კი 51 თეთრი კენჭი ხვდა და შავიც... ამდენიმე! იანგარიშეს „არძაგანკის“ მათემატიკოსებმა მოგება და ზარალი და თანხაში ფუჭი გამოვიდა. რაც მოეტანათ, ის წაეღოთ და უზურში მხოლოდ ცალიერი საარჩევანო ყუთი-ღა დარჩა. ეხლა „მშაკელები“ უვლიან „კეცე“-ს ძახილით ბუქნას, „არძაგანკელები“-კი მკერდს იმჯიღავენ!..

დიახ, „ესრედ იყვნენ წინანი უკან და უკანანი წინა, რამეთუ მრავალნი არიან ჩინებულ და მცირედნი რჩეულ!“, ვიტყვით მახარებელის მათეს სიტყვებით.

ჩიორა

და ვსთქვათ, რომ ძალიან ოკო-ბოკოდ და უხერხულად არის გადმოქართულებული ეს იგავ-არაკები. მაგალითად კრილოვის ვირ-თაგვა და თაგვი აი როგორ არის ნათარგმნი:

„მეზობელო, გაიგონე ახლა ჩვენში რა მომხდარა?“
ვირთაგვასთან ერთხელ თაგვმა მიირბინა, მიაძახა:
„ამბობენ, რომ კატუნიას ლომმა ფრჩხილი გაუყარა;
დრო დაგვიდგა, მოვისვენოთ, ამან ძლიერ გამახარა!“
„სინათლევ (?), ნუ დაიჯერებ“,
ვირ-თაგვამა უპასუხა:
„შენ ტყვილად გაგხარებია:
ამან ძლიერ შემაწუხა...
თუ ფრჩხილებზედ საქმე დადგა,
მაშ ლომი ახლა მკვდარია,
რადგან არა იპოვება
მხეცი კატაზედ მძლავრია.“

ლექსებს შემდეგ ამ წიგნში მოთავსებულია მოთხრობა, რომელსაც „მსხვერპლი მსხვერპლზედ“ (?) ეწოდება და რომელიც სულ სიყვარულზედ არის აგებულ-აშენებული. „გიმნაზისტს“ ნიკო ოშივარიძეს უყვარს „გინაზისტკა“ მარგალიტა ნატაშიძე და მარგალიტასაც თავის მხრით ძალიან უყვარს ნიკო, ე. ი., მოკლედ რომ ვსთქვათ, იმათ ერთმანეთი უყვართ. ეს გახლავთ თავი და თავი გმირები მოთხრობისა, თუმცა არავითარი საგმირო საქმე არ ჩაუდენიათ ისეთი, რომ მოთხრობის გმირად გამხდარიყვნენ. რატომ შეიყვარეს ამათ ერთმანეთიო? ეგებ იკითხოთ. რა მოგახსენოთ! მოთხრობაში ამის პასუხს ვერ მოსძებნით, გარდა იმისა, რომ ნიკოს „შავი, ქუქუნა თვალები“ მოსწონდა და სწორედ ამ გვარ თვალების პატრონი იყო მარგალიტა. მარგალიტას რაღა მოეწონა ნიკოსი, არ ვიცით, რადგანაც მოთხრობაში ამის შესახებ არაფერი სწერია, თუ სახეში არ მივიღებთ ერთს ადგილს, სადაც მოთხრობის დამწერი ზიკოვის (მარგალიტას საქმრო) პირით ლაპარაკობს, რომ „ყოვლად შეუძლებელია გიმნაზისტკას ვინმე გიმნაზისტი არ უყვარდესო“. რადგანაც ასეა, რადგანაც სავალდებულოა, რომ „გიმნაზისტკას“ უსათუოდ ვინმე „გიმნაზისტი“ უნდა უყვარდეს, როგორ შეგვიძლიან ამ სიყვარულში სხვა რამ მიზეზი ვეძებოთ. ასე თუ ისე, ამ სიყვარულით ნიკოც კმაყოფილი იყო და მარგალიტაც, მაგრამ ცუდი საქმე დაემართათ: მამამ მარგალიტა სხვას მიათხოვა, ვიღაც ზიკოვს. ამის გამო ნიკომ იდარდა, ბევრი იდარდა, მაგრამ დარდმა ვერ მოუღო ბოლო, რის გამოც სიცოცხლე მოძულებულმა წყალში დაირჩო თავი. ამ სამწუხარო სურათის მოწამე იყო მარგალიტა, რომელიც მიხვდა, რომ ნიკო იმის სიყვარულის მსხვერპლი გახდა და ამ მიხვედრამ იმდენად იმოქმედა მის გრძნობა-გონებაზედ, რომ ისიც გარდაიცვალა. მიცვალებულნი ერთი მეორის გვერდით დაასაფლავეს. მარგალიტას ნიშზედ შემდეგი წარწერა იყო:

„მარგალიტა ვარ სახელად, გვარი თითონაც არ ვიცი;
„ზიკოვისას“ მეძახოდნენ, არ მსურდა, უნდა ვსთქვა ფიცი,
თვრამეტი წლის არ ვიქნები, უდროვოდ მიწად ვიქეცი,
რადგან, მამაკ ნატაშიძე, სულელურად მომექეცი“.

ნიკოს ნიშზედ-კი ასე ეწერა:

„ნიკო ოშივარიძე ვარ ამ ლოდის ქვეშ დამარხული;
ოც-და-ერთი წლის არა ვარ და მიწადა ვარ ქცეული.
თავი დავირჩე... ვის გამო? ქვა გეტყვისთ გვერდით დებული“.

ამ წარწერათა ნახვამ გული ამიდუღა და ტირილი მოვრთეო, ამბობს მოთხრობის დამწერი, შემდეგ მიცვალებულთ ცხონება ვუსურვეო და თქვენც უსურვეთო, ეხვეწება მკითხველთ.

ღმერთმა აცხონოს ისინი და ასეთი მოთხრობაც ღმერთმა შეინახოს!

გულ-დამწვარი მკითხველი

# უცხოეთი

**საფრანგეთი***). შემდეგ თავმჯდომარე დაეკითხა რავაშოლს, დეკანისა, დარდარისა და დეველიეს გასამართლების ამბავი რომ შეიტყეთ, როგორ იმოქმედა თქვენზედაო.

რავ. საშინლად მეწყინა და ავღელვდი.

თავმჯდ. რადა?

რავ. იმიტომ-რომ, ჩემის აზრით, ბ-ნი პრეზიდენტი მიკერძოებით იქცეოდა.

თავმჯდ. ბიულო?

რავ. ისა თხოულობდა სიკვდილით დასჯას მთელის ოჯახის პატრონისას, რომლის შვილებიც ულუკმა-პუროდ უნდა დარჩენილიყვნენ.

თავმჯდომარემ შენიშნა, ბიულო თავისს მოვალეობას ასრულებდაო. „მაგრამ ნაფიცნი მსაჯულები არ დაეთანხმნენ იმასა, სთქვა რავაშოლმა. ამასთანავე სასამართლომ ყურადღება არ მიაქცია იმ გარემოებას, რომ პოლიცია ცუდად ეპყრობა ჩვენს კაცებს. მე მსურდა მხოლოდ შური მეძია ჩემის მეგობრების მაგიერ“.

თავმჯდ. მაგრამ დიდი დრო-კი მოანდომეთ, რომ თქვენი განზრახვა აგესრულებინათ. თქვენ რას იტყვით იმის შესახებ, რომ Soisy-sous-Etiolles-ში დინამიტი მოიპარეს.

რავ. არაფერს. მე იმ ქურდობაში არავითარიმე მონაწილეობა არ მიმიღია.

თავმჯდ. გამოძიების დროს თქვენ უარი სთქვით და ჩვენება არა მიეცითრა მაგ საგნის შესახებ, ხოლო შემდეგ შომანტენს გამოუტყდით, რომ მონაწილეობა მიგეღოთ ქურდობაში.

რავ. ეგ სიზმარში თუ ეჩვენა შომანტენს.

თავმჯდ. მაშ იმას უტყუვნია.

რავ. უეჭველია.

თავმჯდ. ის ქურდობა მოხდა თებერვალში. რამდენისამე დღის შემდეგ ბეალა მოვიდა ს.-ეტიენში და თან ასაფეთქებელი წამალი მოიტანა. იქიდგან თქვენ, სიმონი და ბეალა წახვედით კლიშის ქუჩაზედ, რომ აგეფეთქებინათ საპოლიციო კომისარიატი, რადგან ჯავრი გქონდათ იმ კომისარისა.

რავ. დიაღ, იმიტომ-რომ ჩვენს უმწეო მეგობრებს სცემდა იმდენს, რომ გონებას მიუხდიდა ხოლმე.

თავმჯდ. თქვენ საიდგან იცით ეგ, იქ ხომ არა ყოფილხართ?

რავ. მერე რაო? თქვენ თითონ ეს არის ეხლა ყველაფერი ჩამომითვალეთ, რაც-კი რამ ჩამიდენია, მაგრამ თქვენის თვალით-კი არაფერი გინახავთ (სიცილი ასტყდა).

თავმჯდომარე დაეკითხა და რავაშოლმა უპასუხა, იმიტომ გადავდე ჩემის განზრახვის აღსრულება, რომ უფრო დიდი რამ სხვა საქმე მოვიწადინეო, ბენუას სადგომის აფეთქების შესახებ რავაშოლმა შემდეგი სთქვა: „დიაღ, მე ავედი მეორე სართულში, დავდე ყუმბარა და პატრუქს ცეცხლი მოვუკიდე“.

თავმჯდ. სად იყავით იმ დროს, როცა აფეთქდა სახლი.

რავ. წავედი.

თავმჯდ. მარტოკა იყავით?

რავ. დიაღ, მარტო ვიყავ.

ბრალდებული უარ-ჰყოფს სიმონისა და ბეალას მონაწილეობას, თუმცა გამოძიების დროს სულ სხვას ამბობდა. რავაშოლმა განაცხადა, არც-კი მახსოვს, ვნახე ისინი აფეთქების შემდეგ, თუ არაო.

თავმჯდომარემ ლაპარაკი დაიწყო ახლა კლიშის ქუჩაზედ მომხდარ აფეთქების თაობაზედ. „დილის 6 საათზედ შევნაყრდიო, სთქვა რავაშოლმა: ავიღე ჩემოდანი და გავწიე. ჩემოდანში დინამიტი, სებასტინი და თოფის წამალი მქონდა“.

თავმჯდ. ეგ საშინლად ძლიერი ასაფეთქებელი წამალია.

რავ. დიაღ. ჩავჯექ ცხენის რკინის გზის ვაგონში და გავწიე. მივედი № 39 სახლთან, ავედი მეორე სართულში, ამოვიღე ჩემოდნიდგან ყუმბარა და მოვუკიდე პატრუქს, რომელიც სიგრძით 8 სანტიმეტრი იყო. ძლიერ საშიში საქმე იყო, თოფის წამალი მქონდა და შეიძლებოდა ის ამფეთქებოდა.

შემდეგ რავაშოლმა იმის შესახებ სთქვა, რომ ვერის სასტუმროში დავდიოდი და საანარხისტო აზრებს ვქადაგებდიო. ჩვენების ჩამორთმევის შემდეგ თავმჯდომარემ უთხრა რავაშოლს: „მე თქვენთან კამათი არა მსურს; ვერც თქვენ დამაჯერებთ და ვერც მე დაგაჯერებთ. მაგრამ თქვენ მაინც მხნე და გაბედული კაცი ხართ. სამწუხაროდ, აგეთი წარსული-კი გაქვთ“.

რავაშოლმა გადიკითხა საბრალმდებლო ოქმი თავისი და თავის ამხანაგებისა და სთქვა: „ჩვენ შიშიანობით უნდა საზოგადოება დაგვეფიქრებინა. მხოლოდ ამ გზით შეიტყობენ ხოლმე ჩვენს თეორიებსაო“.

თავმჯდომარემ ჰკითხა რავაშოლს, სად არის ის 250—300 დინამიტი, ანარხისტებს რომ აქვთო, მაგრამ რავაშოლმა პასუხი არ მისცა.

გენერალ-პროკურორი. თქვენ სტრიხნინიც გიპოვეს. თქვენ იარაღადა, ანუ ვისისამე მოსაკლავად გქონდათ ისა?

რავ. მქონდა რაღა ისე, ყოველის შემთხვევისათვის.

გენერ.-პროკ. მაშ სათადარიგო იარაღად გქონდათ?

რავ. დიაღ.

ამითი დასრულდა რავაშოლის ჩვენების ჩამორთმევა.

როგორც ჩვენს მკითხველებს უკვე ეცოდინებათ, სასამართლომ სამუდამო კატორგა მიუსაჯა რავაშოლს.

*) იხ. „ივერია“, № 85.

# გასართობი

მუნწმა და სულ-დამწვარმა ამბარცუმოვმა საკვირა-ცხოვრებად დიდ-ძალი მაუდის ქუდები და რამდენიმე ასი ცალიც წაღები იყიდა. ქუდებიცა და წაღებიც ძველებურის ყაიდისა და გამოჭრილობისა იყო, მაგრამ ამბარცუმოვს მაინც იმედი ჰქონდა, ხეირს ვნახავ, კარგს სოვდას ვიზამო... ამბარცუმოვმა ნაცნობებიც გამოძებნა და ქუდები მექუდეს მისცა გასასყიდად და წაღები—მეწაღეს იმ პირობით, რომ თუ გაიყიდა, ასის თავზედ თქვენც ამასა-და-ამას გარგუნებთო.

კვირა-ცხოვრობას შემდეგ ჩვენმა ამბარცუმოვმა თავის ნაცნობებისაკენ გასწია, შეიტყო ერთი გაუყიდნიათ, თუ არა საქონელიო. მივიდა მეწაღესთან.

— აბა, რა ჰქენით?

— ვერავის მივაკარი წაღები!... მხოლოდ თუ ვინმემ იყიდოს კიდეც, გამოჭრილობა ძველი აქვს და საქონელიც გროშად არა ჰღირს: ჩაჩმა და ძირების გაკერვა ერთი იქნება!... მაინც-კი, როგორც იყო, გავასაღე, ერთი სულელი ჩავიგდე ხელში და იმას ავკიდე, ქუდებში გამოვუცვალე და ხუთი თუმანიც ფეულად გამოვართვიო...

ამბარცუმოვი ეხლა მექუდესთან წავიდა და თან ჰფიქრობდა:

— ხუთი თუმანიც ფულადაო!

მივიდა თუ არა, გახარებულ-გაბრწყინვალებული მექუდე დუქნის კარებში გამოეგება.

— აბა, ძმაო, გაიხარე! ძლივს არ მოვიშორე შენი დაობებული და გამოუსადეგარი ქუდები, რომელიც არც ერთს სულელს მუქთადაც არ უნდოდა დაეხურა!... წაღებზედ გავცვალე... მართალია, ხუთი თუმანიც ნაღდი ჩამოვჭრე, მაგრამ მაინც კარგად ვიკარგე!... წაღები შენთან გამოვგზავნე!... ანგარიშიც იქ არის!...

...ნაღვლიანი წამოვიდა ამბარცუმოვი სახლში, სადაც თავისი ნაყიდი ქუდებიც დაახვედრეს და წაღებიც. ამას გარდა, ორი ანგარიშიც იყო, მექუდე ქუდების გაყიდვის ფასსაც სთხოვდა და ხუთს თუმანსაც ფულად და მეწაღე—წაღების გაყიდვისას. რაღა უნდა ექნა, ამბარცუმოვმა ქისას პირი მოხსნა და ორივეს გაუგზავნა ფული...

**

ერთი უსაქმო არტისტი-ქალი და მოსაქმე რეცენზენტი შეხვდნენ ერთმანეთს:

არტისტი-ქალი. მე შევიტყე, რომ ყველა რედაქციას იცნობთ და რეცენზიებსა სწერთ.

რეცენზენტი. დიაღ, მე ყველგან...

არტისტი-ქალი. იმედი მაქვს, მოწყალების თვალით გადმომხედავთ, რისათვის მეც ჩემის მხრივ მადლობას გადაგიხდით...

რეცენზია: „სასიამოვნო ახალს ამბავს გაუწყებთ ჩვენს მკითხველებს: ამ დღეებში ჩვენის ქალაქის ერთს თეატრში სცენაზედ გამოსვლას აპირებს დიდად ნიჭიერი არტისტი-ქალი, რომელიც დიდს იმედს იძლევა“.

არტისტი-ქალი სცენაზედ გამოვიდა, ხალხს ძალიან მოეწონა და თეატრში ჯამაგირით მიღებულ იქმნა კიდეც.

რეცენზენტი. მომილოცნია! ვნახოთ პირობას როგორ შეასრულებთ!

არტისტი-ქალი. რა პირობას?!?.. სწორეთ მოგახსენოთ, არ მახსოვს როდისმე და რასმე დაგპირებოდეთ...

რეცენზია: „თუმცა არტისტი-ქალი დიდს იმედს იძლეოდა, მაგრამ ნამდვილად-კი ეს იმედი არ გაგვიმართლა“...

# ნაბოლარა

ახალი საკვირაო გაზეთი, № 1.

ჩემს ნაბოლარას ახალი ხანა დაუდგა: თავისუფალს დამოუკიდებელს გაზეთად გარდაიქცა და მეც რედაქტორობის სახელი მეხვია. მაინც ჩვენში ვისაც-კი ოდესმე კალამი აუღია, ან ნარედაქტორალია, ან დროებით ურედაქტორნია, ან არა-და, შემდეგ მაინც მოელის ამ ღირსებას. მე რაღად გამოვწყდე სხვებში, საჯობს ეხლავე ბანი მივცე და ჩემი ძალ-ღონეც გამოვსცადო, იქნება რედაქტორობაში სხვანაირი უნარი გამომჩენოდეს. მართალია, ცალკე ფურცლად არ გამოვა ჩემი გაზეთი, მაგრამ სათქვას-კი გაცდა, რაც სათქმელი აქვს, და გინდ წაღმა დადგეს, გინდ უკუღმა, სულ ერთი არ არის?

ბევრი მღელვარება-კი გამოვიარე, რამდენიმე ღამე თვალი არ მომიხუჭნია და ჩემს ტვინს ძილი არ მიეკარება, ვიდრე ეს უფლება არ დავიმტკიცე. თავი ვიმტვრიე, ჭკუა გავარჯიშე, საბუთების მთელი ბოხჩა დავამზადე, მძიმე აზრთა იარაღით აღვიჭურვე და ისე წარვდექ ბ-ნ „ივერიის“ რედაქტორის წინაშე. როგორც მახსოვს, გაზეპირებული წინასიტყვაობა დაკვნესრად წავიკითხე და, თხოვნის შინაარსთან რომ მივაღწიე, ენა დამება.

— რა გინდა, მე ვერა გავიგე-რაო?

— რედაქტორობა!..

— როგორ თუ რედაქტორობა, ჩემი ადგილი ხომ არ მოგეწონა?

— არა, ბატონო, მე ნაბოლარას რედაქტორობა მინდა-მეთქი.

ბევრი იცინა, წამოდგა, ხარხარით გაიარ-გამოიარა, მერე მომიბრუნდა და მხიარულად მითხრა:

— შე კაი კაცო, ეგრე მეტყოდი. რადა შორიდგან დაიწყე და ამდენი დრო დამაკარგვინე. წადი და სწერე, რაც გენებოს. შენ ხომ ისეთს ვერას მოახერხებ, რომ ან ღმერთს ეწყინოს, ან ცენზორსაო.

სახტად დავრჩი, გავშეშდი, ხელ-ფეხი დამიდუნდა.

— კიდევ გინდა რამეო?

— არა, მადლობელი გახლავარ, ესკი მოვახერხე და უკან-უკან დავიწიე. ვიდრე კარი არ მოიხურა, დაჭყეტილი თვალი ვერ მოვაშორე, თითქოს ველოდი, რომ აი ეხლა შემაჩერებს და მისგან მონაჭებულს ღირსებას ისევ ამართმევს-მეთქი...

თუ გარედაქტორობა ესე ადვილი ყოფილა, მე სულელმა რიღასთვის ვიმტვრიე თავი და ვტეხე ღამე? ჩემი თავი იმ გაბრაზებულს კაცს შევადარე, რომელიც ხმალ-ამოღებული გაექანება თავის მოპირდაპირესთან და ის-კი დაცინვით ენას გამოუყოფს: „ინებე, დამკარიო!“ მეც ჩემი პრიალა ფარი და ბასრი ხმალი ოხრად დამრჩა.

ჯერ თითქო მეწყინა ასეთი სწრაფი აღსრულება სურვილისა, მე მინდოდა ბრძოლით გამემარჯვნა, მერე-კი, კარგად რომ დავფიქრდი, სიამოვნება ვიგრძენ და სიხარულით შევტლინკე კიდეც.

ნება-რთვა მაქვს, ახლა სარედაქციო საქმის მოწყობას უნდა შევუდგე.

„ნაბოლარას“ პროგრამმა: ყოველივე და არაფერი.

ფასი—დაუდებელია.

ადრესი—ცნობილია.

გამოსვლა—კვირაობით, თუ დარმა არ დაუშალა.

თანამშრომელნი—ვისაც წერა არ იცის, ანუ ვის წინაშეც „ივერიის“ კარი დახშულია.

ჩვენი გაზეთი ბევრით განსხვავდება სხვა თავის მოსახელეთაგან და არც ერთი იმ ჭეშმარიტებათაგანი, რომელიც აქამომდე სხვათაგან აღიარებულია, ჩვენთვის სავალდებულო არ არის. ამისათვის საჭიროდ ვხედავთ, ეხლავე დარიგება მივსცეთ ჩვენს კორესპონდენტებს და ავტორებს, რომ მერე ტყუილად დრო არ დაგვიკარგვინონ და თავი არ მოგვაბეზრონ.

ბ-ნთ კორესპონდენტებს: სხვა გაზეთების კორესპონდენტების მოვალეო-

.ბა ნათლად არის გამოთქმული „ივერიის“ ერთის კორესპონდენტის წერილში, რომელიც წინანდელ ნავის გოდორის გაატანეს:

«ძალიან ხშირად ჩვენ, კორესპონდენტები, რომელიმე ფაქტის აღნიშვნის დროს შეცთომაში მოვდივართ ხოლმე: ვაქებთ იმას, რაც სრულიად საქები არ არის, ვამაგებთ, ვკიცხავთ, ჯვარს ვაცვავთ, რაც საძაგებელი და საკიცხავი არ არის. ამიტომ მოამბეობა ძალიან ძნელი სატვირთველია. ზოგიერთი მოამბე გაიგონებს თუ არა რომელიმე ახალს ამბავს, არც აალებს, არც დაიღებს და მაშინვე ტყაპანს გაადენს გაზეთში; ხშირად ამისთანა მოჩქარე მოამბისაგან ჭორები იბადება, „ბაგრატ მოსვლას“ მაგივრად «ბაგამ მატკინა» გამოდის. სირცხვილეული რჩება მოამბე მომხდარის ფაქტის უსწორმასწორად და უმართლოდ გადაცემისათვის და თავს ხოხობივით იმალავს; უმართლო ამბების წერით გაზეთსაც სახელი უტყდება და მართალსაც აღარ უჯერებენ ხოლმე. მოამბეობა მიელ საჩოთირო და პასუხის-მგებელი ტვირთია... «ოცჯერ ზომვა, ერთხელ ჭრაო წესია მეფეთ ქებულთა», უთქვამს პოეტსა; ოცჯერ ზომვა და ერთხელ ჭრა არც მოამბეებს მოსჭარბდებათ. სიფრთხილე, სიფრთხილე და კვლავ სიფრთხილე ამბის გადაცემაში,—აი ნამდვილი მოვალეობა ჩვენი, მოამბეებისა!“

ჩვენ არ ვეთანხმებით ამ სიტყვებს და სულ სხვა ნაირი აზრი გვაქვს.

გაზეთის მოამბე ტყუილ-მართალს არ უნდა არჩევდეს, რასაც ყური მოჰკრას, სწრაფად უნდა აფრინოს გაზეთისაკენ. თუ ტყუილი იქმნება, განა არ შეიძლება გასწორება: უკაცრავად გახლავართ, რომ ჩვენის გაზეთის ამა-და-ამ №-ში ტყუილი ამბავი დავბეჭდეთ იმის შესახებ, რომ... (აქ ისევ ვრცლად ამოიბეჭდება ტყუილი ამბავი); ეგრე-კი არა ყოფილა, ასე გახლდათ-თქო, და მორჩა. არც წვალდი დაიწვა, არც შამფური და გაზეთს-კი მასალა მიეცა.

თუ ამისთანა ამბავი პირადობას შეეხო, უფრო კარგი. ვისაც ტყუილად შევეხებით, რასაკვირველია, გაგვებერება, იმისი მტრები-კი გაიხარებენ; ორივე მხარე უთუოდ წაიკითხავს გაზეთს, გადიკითხავს კიდეც და ტყუილს ამბავთან ცოტა მართალსაც გაიგებს რასმე. კარგი არ არის?

როცა შეცდომას გავასწორებთ, ისევ ორივე მხარე წაიკითხავს გაზეთს, უმართლოდ დამწვარი დაცხრება, სხვანი-კი წინანდელს ტყუილსაც დაგვიმადლებენ და ორივენი ერთად გულში იფიქრებენ: ნახე, მართალი როგორა ჰყვარებიათ, აბა კაცნიც ეგენი ყოფილან და ქუდიც მაგათა ჰხურებიათო. ამარბით გაზეთი გაცოცხლდება, სახელი და გავლენა მოემატება.

სცდება ბ-ნი „ივერიის“ კორესპონდენტი, რომ ამბობს, „უმართლო ამბების წერით გაზეთს სახელი უტყდება და მართალსაც აღარ უჯერენო“. ეხლანდელს დროში ტყუილი უფრო სჯერათ და მართალიც რომ ტყუილად მოვაჩვენოთ, უფრო დაგვიჯერებენ. თუ არა-და, სულ რომ მართალი ეძებო, სად და როდის უნდა იპოვო. იბა თითონ ამ კორესპონდენტმა გულ-ხელ დადებით გვითხრას, ყოველთვის მართალი ყოფილა მისგან „ივერიის“ რედაქციაში გაგზავნილი ამბები, თუ ზოგჯერ ტყუილი ამბებიც დაუდევნებია, უნებლიედ, რასაკვირველია? სულ მართლის წერა როგორ შეიძლება, ვის გაუგონია?

„მართლის მთქმელს უნდა ცხენი უდგეს შეკაზმულიო“, ნათქვამია როდესღაც, როცა ჯერ რკინის გზები და ტელეგრაფები არ იყო. ეხლა ცხენი-კი არა, სირაქლემაც ვეღარ გიშველის. ამიტომაც ჩვენმა საღხმა ახალი ანდაზა მოიგონა:

„მიჰყე, მოჰყე, სიმართლესა,
გამოგილევს სინათლესა!“

სიმართლეს ეხლა ბევრი აღარავინ მისდევს და სიტყვა „მართალი“ უფრო ტყუილის გამოსათქმელად იხმარება. თითონ ის, ზემოდ ხსენებული ოცჯერ მზომი ერთხელ მჭრელი და, ჩვენად დავუმატებთ, დიდად-პატივცემული მედმივი და უკეთესი „ივერიის“ კორესპონდენტთა შორის, ყოველთვის მიაგნებს ხოლმე სიმართლეს? აი წინ მიწყვია იმისი ნაწერები და მიკვირს, რა დიდი მანძილი ყოფილა სიტყვასა და საქმეს, სურვილსა და აღსრულებას შორის. ერთს წერილში ბ-ნი კორესპონდენტი მეტად აქებს მაზრის უფროსს: „საქმის მტკიცედ აღმასრულებელი, მოქრთამეების მტერი და უანგარო კაციაო, ხოლო რიგიანი ბოქაულები არა ჰყავს და ამის ბრძანებას ვერ ასრულებენო. ამისათვის მოიწადინა „ენერგიული კაცები ჩააყენოს საქმეშიო“...

რედაქციას როგორღაც ეხამა მაზრის უფროსის ქება და ეს წერილი გვერდით მისდო. არ გავიდა ერთი თთვე, რომ მეორე წერილი მოვიდა იმავე მოამბისა:

„ამ ჟამად მაზრის პოლიცია გრომად არა ღირს, ხავსი ეკიდება, იცის რა თავისი უხეირობა. მაზრის უფროსი ამბობს ქართველებზედ: „Грузины трусы, а потому имъ я не хочу поручить“... თქვენ მოგივათ კორესპონდენცია (ამა-და-ამ კაცისა), რომელიც ქება-დიდებას შეასხამს ჩვენს მაზრის უფროსს, მაგრამ როგორც ჩინელს კაცს არავითარიმე განკარგულება არ მოუხდენია, ისე ჩვენს მაზრის უფროსსა. ჩვენში, კორესპონდენტებში, მართლის მთქმელი დიოგენის ფარნით არის საძებნელი... არც ერთს გაზეთში რიგიანი, მართალი სიტყვა არ დაბეჭდილა“.

ჰე, მოვიდა ჩვენს ჭკუაზედ, თუ არა!

ჯერ თითონ მართლის მთქმელი კორესპონდენტი ხომ ძნელი საპოვნელი ყოფილა. ახლა, ჰსთქვათ, ვიპოვეთ კიდეც ერთი კაცი. იმან როდის-ღა უნდა მიაგნოს მართალს? ამას რომ ვუცადოთ, წელიწადში გაზეთის ერთს ნომერს ძლივს შევადგენთ და მკითხველებს რაღა პასუხი მივცეთ.

არა, „ნაბოლარას“ რედაქციისათვის მართალი საჭირო არ არის. რაც შეიტყოს მოამბემ, მაშინვე გამოაქანოს. ტყუილი იყოს, არა უშავს-რა. სადაც ტყუილი არ არის, იქ მართალს ფასი არ ექმნება, სადაც ცოდვილი არ არის, იქ წმიდათა თანა არავის შერიცხვენ.

ბ-ნ ავტორებს შემდეგ მოველაპარაკებით.

რედაქტორი ფ.ფ.

---

**წერილი რედაქციის მიმართ**

ქ. ქუთაისიდგან ბ-ნ ს. დათეშიძესაგან მე მივიღე 17 მან. ქართველ მაჰმადიანთ წიგნების დასაბეჭდად. წიგნების დაბეჭდვა დავიწყე და მკითხველს თავის დროზედ ყველაფერს დაწვრილებით ვაცნობებ.

ზ. ჭიჭინაძე

---

## დეპეშა

24 აპრილი

**პეტერბურგი.** გამოცხადდა: 1) დამატება კანონებისა, რომელიც აჩვენებს შემთხვევას და რიგს როგორ აიხსნას „запрещеніе“, დადებული დაგირავების ქაღალდის ძალით. 2) ქვემდებარე მუხლნი ვექსელის წესდებისა და ვაჭრობის განსამართლებისა შეუთანხმებიათ 1891 წ. ივნისის კანონთან, რომელმაც დააწესა განმარტივებული რიგი განსამართლებისა.

**პეტერბურგი.** განსაკუთრებულმა კომიტეტმა საგუბერნიო საქველ-მოქმედო კომიტეტებს გაუნაწილა: სამარისას—95,000 მან., ნიჟეგოროდისას—80,000 მან. და ნიჟეგოროდის პურის საწყობებიდგან, რომლებშიაც 1 აპრილს 353,000 ფუთი პური აღმოჩნდა, დაურიგა: ყაზანის გუბერნიას—177,000 ფუთ., სიმბირსკისას—90,000 ფუთ., ვიატკისას—80,000 ფუთ. და გადასწყვიტა აგრეთვე, გაგზავნოს 3,000 ცხენი პერმისა და 1,500 ორენბურგის გუბერნიებში და 20,000 ფუთი კართოფილი სამარის გუბერნიაში.

ამბობენ, რომ შვრიის საზღვარგარედ გატანა ნება-დართულია, რიგასა, რეველისა და ლიბავას გარდა, არხანგელსკიდგანაც. სიმინდის საზღვარ-გარედ გატანა რუსეთის ყველა ნავთსადგურიდგან შეიძლება.

**რომი.** მოელიან სამინისტროს ახალს კრიზისს.

**ლიუტტიხი.** ამას წინად მომხდარ აფეთქების გამო კიდევ ბევრს აპატიმრებენ.

25 აპრილი

**პეტერბურგი.** უმაღლესი ბრძანებაა, რომ გზათა სამინისტროს საბჭოს სატეხნიკო განყოფილება გაუქმებულ იქმნას, ხოლო საადმინისტრაციო განყოფილებას სახელი შეეცვალოს და ამიერ იწოდებოდეს სამინისტროს საბჭოდ. ამ საბჭოში განწესდეს 4 წევრი და ერთ-ერთს დაევალოს, თავსმჯდომარეობდეს მინისტრისა და მის ამხანაგის არ-ყოფნის დროს. ხარჯთაღრიცხვისა და დიდის საქმეების სატეხნიკო ვითარებისა და კერძოობის გასათვალისწინებლად შესდგეს საინჟინერო საბჭო. საბჭოში დაინიშნონ: თავსმჯდომარე, დირექტორები დეპარტამენტებისა, თავსმჯდომარე სახელმწიფო რკინის გზათათვის დროებით დაარსებულ მმართველობისა და 8 წევრი. მიენდოს მინისტრს წევრის თანამდებობა დაავალოს კერძო საქმეთათვის დათხოვნილ ინჟინრებს; ნება მიეცეს ფინანსთა მინისტრს და სახელმწიფო კონტროლიორს დანიშნონ საბჭოში თითო წარმომადგენელი ზემოხსენებულ უწყებათა.

ტამოჟნებში ჩაის ყუთების დამღისათვის დღეიდამ 2 კაპეიკის მაგიერ აიღებენ 4 კაპეიკს, ხოლო მაგარ სასმელებისა, სამზღვარ-გარეთიდამ მოტანილ თუთუნისა, თუთუნისაგან ნაკეთებისა და შუშხუნა ღვინის ჭურჭელთა ბანდეროლისათვის—1 კაპეიკის მაგიერ $1^1/_2$ კაპეიკს.

გუშინ ბირჟაზე ტფილისის საადგილ მამულო ბანკის $6^0/_0$-იან გირავნობის ფურცელში იძლეოდნენ $101^1/_2$ მან., $5^0/_0$-იანში—99 მან., ქუთაისის ბანკისაში—$101^1/_2$ მან.

---


# მაღაზია სარპინკებისა

(ტფილისი, სოლოლაკის ქუჩა, სახლი ალაბაბოვისა).

ხელ-მოსაცემი და სარფა საზაფხულო ქსოვილი, ხელით-ნაკერები ქალებისა და ყმაწვილების ტანისამოსისათვის და აგრეთვე მამაკაცთა პერანგებისათვის

დიდ-ძალი განიერი სარპინკები ზოლებიან-არშიანები. სარპინკის წინდად საქსოვი ძაფი, სხვა-და-სხვა უხუნარის ფერისა, ჭრელ წინდებისა და ჩულქების საქსოვად.

სარპინკის ტანისამოსი ქალისა ყუთებიანად 3 მან. და 60 კაპეიკიდამ დაწყებული.

სარპინკის იუბკები 1 მან. და 80 კაპ. დაწყებული და უფრო ძვირებიც.

სარპინკის ცხვირსახოცები და თავზე-მოსახვევები.

ფაბრიკის პატრონები **სავაჭრო სახლი:**

**ბენდერ და სტეფანოვი**

(35—56—6)

---




ტფილ. გამოფენა.




ვერცხლისა




ოქროსი

## ЗАВОДЪ
## МАСЛЯНЫХЪ КРАСОКЪ
## А. А. ТУТАЕВА.

*Кузнецкая ул., ниже Солдатскаго базара.*

Принимаются постройки, ремонты и окраски домовъ, крышъ, фасадовъ и проч. Имѣются въ продажѣ всевозможныя лито-типографическія масляныя и сухія краски, кисти, масла и прочее; ручается за добросовѣстное исполненіе работъ и доброкачественность матеріаловъ.

---

## ალექსი თუთაევის

ზეთიანის კრასკების ქარხანა იარმუკაზედ

**ტფილისში:**

ვიღებ ქ. ტფილისში და საქართველოს რკინის გზის სადგურებთან ორის ვერსის სიახლოვეზედ სახლების აშენებას, აგრეთვე სახლების შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას (полная окраска домовъ). ვყიდი ფაბრიკის ფასით საზღვარ-გარეთიდამ მოსულს ლიტო-ტიპოგრაფიის, ხუდოჟნიკის და ფეტონების წასასმელს ყველა ნაირ ფერის კრასკებს: ალიფს, ლაქს, გუმირაბიკს, მასას, ბრონძს და ყველა ამათ მოწყობილების იარაღს.

ვამზადებ ჩემს კრასკის ქარხანაში ყოველ ნაირ ზეთით გალესილს კრასკებს. ვპირდები ყველას, რომ ყოველი ჩემ მიერ გაკეთებული საქმე და ჩემგან ნასყიდი კრასკები იქნება უტყუარი და საქმე პირობისამებრ ჩაბარებული.

ვაძლევ სანდო ადგილებში საქმის სიმკვიდრისათვის ერთის წლიდამ სამ წლამდე ზალოგს.

კრასკები შეიძლება დაიბარონ სხვა ქვეყნებში ოცის პროცენტის ბეის გამოგზავნით, დანარჩენს ფასს გარდაიხდიან დანიშნულს ადგილზედ საქონლის მიღების დროს (наложеннымъ платежомъ). (48—6)

---

# ახალი სტამბა

მ. შარაძისა ტფილისში

ნიკოლოზის ქუჩაზედ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში,

იქ, სადაც **„ივერიის“** რედაქცია იმყოფება, გაიმართა

სრულიად ახალი სტამბა.

სტამბასა აქვს საზღვარ-გარეთიდამ გამოწერილი ახალის სისტემის მსწრაფლ-მბეჭდავი და სხვა და სხვა გვარი მაშინები.

ამასთან გვაქვს ახალი ასოები, როგორც ქართული, აგრეთვე რუსულიცა და სომხურიც. სომხური ასოები გამოწერილია ვენიდგან.

**ყოველ გვარს სასტამბო საქმეს** ქართულ-სომხურ-რუსულს ენებზე **სუფთად და დროზედ ვაკეთებთ.**


Дозв. ценз. Тифлисъ, 25-го Апрѣля 1892 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.